

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

19 თებერვალი 2018 წ.

თბილისი

№ 1065/03

**„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს №611/03” ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობისა და ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე და 63-ე მუხლის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის და ინდოეთის მოქალაქის საპარ მასსარათის პირადი განცხადების (№1562992; 06/12/2018) საფუძველზე „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს №611/03” ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობისა და ცვლილებების შეტანის მიზნით,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ბათილად იქნას ცნობილი „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს №611/03” ბრძანების მე-3 პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი „1. საპარ მასსარათ - ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
2. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ რექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს №611/03” ბრძანების 1-ლ პუნქტს დაემატოს მე-11 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:  
„1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:  
„11. საპარ მასსარათ - ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე.“

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ. კილასონიას, თსსუ-ს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანის მ/შ დ. თოფურიას, თსსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი